Research

ემიგრაცია და ფულადი გზავნილების ეფექტი საქართველოს ეკონომიკაზე

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #139 13.09.2022

საქართველო ემიგრაციის ქვეყნად მიიჩნევა[1]. 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან ქვეყნიდან ემიგრაცია ხასიათდება, როგორც შრომითი მიგრაცია, რომელიც გამოწვეულია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით (უმუშევრობის მაღალი დონე, სიღარიბე და დაბალი ხელფასები). სხვადასხვა კვლევები აჩვენებს, რომ ქართველი ემიგრანტების მნიშვნელოვანი ნაწილი არალეგალურად ცხოვრობს და მუშაობს მიმღებ ქვეყანაში[1]. საქართველოდან წასული ემიგრანტების მთავარი მოტივაციაა საქართველოში მყოფი ოჯახებისთვის ფულის გამოგზავნა, რათა უზრუნველყონ მათი საცხოვრებელი პირობები[3]. წინამდებარე ბიულეტენში მიმოხილულია საქართველოდან ბოლო ათწლეულში ემიგრაციის ტენდენციები და ფულადი გზავნილების როლი საქართველოს ეკონომიკაში მაკრო და მიკრო დონეზე.



წყარო: საქსტატი

2012 წლიდან 2017 წლამდე ემიგრაციული ნაკადი საქართველოდან 6%-ით შემცირდა და 85 ათასი ადამიანი შეადგინა. ამ პერიოდში საშუალოდ მიგრაციული სალდო -7 ათასი იყო. 2018 წლიდან ემიგრაციული ნაკადები გაიზარდა და 2019 წელს 105 ათასს მიაღწია (გაანალიზებულ პერიოდში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი).

სხვა ფაქტორებთან ერთად, 2018 წლიდან ემიგრაციული ნაკადის ზრდა შესაძლოა, ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2017 წელს დადებულმა ვიზალიბერალიზაციის შეთანხმებამ განაპირობა. 2018 წლიდან 2021 წლამდე საშუალოდ მიგრაციული სალდო -7 ათასი იყო.

2020 წელს, COVID-19-ის პანდემიისა და მოგზაურობის შეზღუდვების გამო, ემიგრაციული ნაკადი 74 ათასამდე შემცირდა და გაანალიზებულ პერიოდში ერთადერთი დადებითი მიგრაციული სალდო დაფიქსირდა (16 ათასი). თუმცა, 2021 წელს ემიგრაციული ნაკადი 100 ათას ადამიანამდე გაიზარდა და ბოლო ათწლეულში ყველაზე დაბალი მიგრაციული სალდო დაფიქსირდა (- 26 ათასი).

საქსტატის მონაცემები არ ასახავს ემიგრაციის სტატისტიკის მთლიან სურათს, რადგან ის არ მოიცავს ინფორმაციას ემიგრანტების ჯამურ რაოდენობაზე. საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ემიგრანტების საერთო რაოდენობის ზოგადი, თუმცა არასრული სურათი მოცემულია UN DESA-ს სტატისტიკაში[5], რომელიც გამოითვლება უცხოეთში დაბადებული მოსახლეობის მაჩვენებლით.

UN DESA-ს მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2010 წლიდან 2020 წლამდე საქართველოდან ემიგრაციაში წასული ადამიანების ჯამური რაოდენობა 7%-ით გაიზარდა და 861 ათასი ადამიანი შეადგინა - ქვეყნის მოსახლეობის 23%.

ქართველი ემიგრანტების მთავარ მიმღებ ქვეყნად რუსეთი რჩება (450 ათასი ადამიანი), რომელსაც მოჰყვება საბერძნეთი, უკრაინა და აზერბაიჯანი, 85 ათასი, 65 ათასი და 49 ათასი ადამიანით, შესაბამისად. გაანალიზებულ პერიოდში მთავარ მიმღებ ქვეყნებს შორის ემიგრანტების ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა აშშ-ში (77%), იტალიასა (60%) და სომხეთში (47%).

აღსანიშნავია, რომ გაანალიზებულ პერიოდში პოსტსაბჭოთა ქვეყნების[6] წილი ემიგრაციის თვალსაზრისით ოდნავ შემცირდა 75%-დან 72%-მდე. იმავდროულად, ევროკავშირის ქვეყნებისა და დიდი ბრიტანეთის წილი 20%-დან 21%-მდე გაიზარდა, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების წილი - 3%-დან 5%-მდე.

ემიგრანტები საქართველოდან ძირითადი ბინადრობის ქვეყნების მიხედვით (ათასი ადამიანი)

ქვეყანა	2010	2015	2020
რუსეთის ფედერაცია	442	450	450
საბერძნეთი	88	83	85
უკრაინა	64	64	65
აზერბაიჯანი	54	51	49
აშშ	22	27	39
სომხეთი	26	38	38
გერმანია	18	19	25
იტალია	10	13	16
სხვა	82	82	93
სულ	806	829	861

წყარო: UN DESA

იმის გათვალისწინებით, რომ ქართველი ემიგრანტების რაოდენობა დიდია, გასაკვირი არ არის, რომ ფულად გზავნილებს ძლიერი გავლენა აქვს საქართველოს ეკონომიკაზე. 2021 წელს საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობა 2.35 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 13%-ს. თუ ფულად გზავნილებზე საქართველოს ეკონომიკურ დამოკიდებულებას სხვა ქვეყნების მაჩვენებელს შევადარებთ, შემდეგი სურათი იკვეთება - 2020 წელს საქართველომ 23-ე ადგილი დაიკავა მსოფლიოში ფულადი გზავნილების მშპ-სთან თანაფარდობით და მეორე ადგილი - აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, მოლდოვას შემდეგ[7].



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

უკანასკნელ ათწლეულში, საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობა შესამჩნევად გაიზარდა. კერძოდ, 2012 წლიდან 2021 წლამდე მაჩვენებელი 76%-ით გაიზარდა და 2.35 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. 2013 წლიდან 2015 წლამდე ფულადი გზავნილების რაოდენობა შემცირდა. თუმცა, 2016 წლიდან მაჩვენებელი გაიზარდა და 2021 წელს უმაღლესი ნიშნული დაფიქსირდა. ევროკავშირთან უვიზო შეთანხმებამ და საქართველოდან ემიგრაციული ნაკადების ზრდამ შესაძლოა გავლენა იქონია ფულადი გზავნილების ზრდაზე.

ქვეყნების მიხედვით ფულადი გზავნილების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბოლო ათწლეულში რუსეთი რჩება საქართველოში ფულადი გზავნილების მთავარ კონტრიბუტორად, რომელსაც მოჰყვება იტალია, აშშ და საბერძნეთი. თუმცა აღსანიშნავია, რომ რუსეთიდან გზავნილების ოდენობა და წილიც, საქართველოში ფულადი გზავნილების მთლიან ოდენობაში, მცირდება. 2012-2021 წლებში რუსეთიდან გზავნილების მოცულობა 45%-ით შემცირდა და 0.41 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, გაიზარდა გზავნილები სხვა წამყვანი ქვეყნებიდან, განსაკუთრებით აშშ-დან 284%-ით. საგრძნობლად მოიმატა გზავნილების მოცულობამ სხვა სახელმწიფოებიდანაც (310%).

ბოლო ათწლეულში პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ქართველი ემიგრანტების რაოდენობის კლებასთან ერთად ფულად გზავნილებში მათი წილიც შემცირდა. ამასთან, გაიზარდა ევროკავშირიდან ფულადი გზავნილების წილი. 2012 წელს პოსტსაბჭოთა ქვეყნების წილი ფულად გზავნილებში 59%-ს შეადგენდა, ხოლო 2021 წელს - 27%-ს. იმავდროულად, ევროკავშირის წილი 25%-დან 41%-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ვიზალიბერალიზაციის შეთანხმების შემდეგ ევროკავშირიდან ფულადი გზავნილები, მნიშვნელოვნად - 11 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

საქართველოს ეკონომიკაზე ფულადი გზავნილების ეფექტის უკეთ წარმოსაჩენად მნიშვნელოვანია მისი შედარება ისეთ ინდიკატორებთან, როგორებიცაა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები და ექსპორტი. ბოლო ათწლეულში საშუალოდ ფულადი გზავნილები წელიწადში 1.53 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც 18%-ით მეტია ამავე პერიოდის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. თუმცა 23%-ით ჩამორჩებოდა საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს, ხოლო ექსპორტის მოცულობას - 49%-ით.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება ფულად გზავნილებზე აშკარა გახდა, როდესაც COVID-19-ის კრიზისის დროს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები - 88%-ით, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 53%-ით შემცირდა და ჯამში 1 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. ხოლო, ფულადი გზავნილების მოცულობა 8.8%-ით გაიზარდა, 1.9 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია და საქართველოში ექსპორტის შემდეგ, უცხოური ვალუტის შემოდინების მთავარი წყარო გახდა[8].



წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

საქართველოს ეკონომიკაზე ემიგრაციისა და ფულადი გზავნილების ეფექტის უფრო ფართო სურათის მისაღებად, მნიშვნელოვანია შევამციროთ დაკვირვების არეალი და ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების შემოსავლები შევადაროთ იმ შინამეურნეობების შემოსავლებს, რომლებიც არ იღებენ ფულად გზავნილებს.



წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

2012-2021 წლებში საქართველოში ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების წილი მერყეობდა, თუმცა 2014 წლამდე მზარდი ტენდენცია შეინიშნებოდა. საერთო ჯამში, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2020 წელს დაფიქსირდა (5.8%), ხოლო ყველაზე მაღალი - 2014 წელს (8.6%). აღნიშნულ პერიოდში ფულადი გზავნილების საშუალო თვიურ რაოდენობაზე დაკვირვებამ ორი ტენდენცია წარმოაჩინა: გზავნილების ოდენობა 2012-2016 წლებში მერყეობდა; ხოლო 2017-2021 წლებში მაღალი ზრდის ტემპით გამოირჩეოდა. აღნიშნული ზრდა შესაძლოა ამ პერიოდში ლარის გაუფასურებით ყოფილიყო გამოწვეული. 2012-2021 წლებში ფულადი გზავნილებიდან მიღებული საშუალო შემოსავალი აშშ დოლარში არ შეცვლილა და 227 დოლარს შეადგენდა.

2012-2021 წლებში საშუალო თვიური ფულადი გზავნილი ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობისთვის 536 ლარს შეადგენდა (ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების საშუალო შემოსავლის 41%). გარდა ამისა, საშუალო თვიური შემოსავალი ფულადი გზავნილების მიმღებ შინამეურნეობებში შესამჩნევად მაღალი იყო იმ შინამეურნეობებთან შედარებით, რომლებიც არ იღებდნენ ფულად გზავნილებს. გაანალიზებულ პერიოდში ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების საშუალო თვიურმა შემოსავალმა 1,318 ლარი შეადგინა, რაც 28%-ით აღემატება ფულადი გზავნილების არ მიმღები შინამეურნეობების საშუალო თვიურ შემოსავალს.

ფულადმა გზავნილებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების წევრების დასაქმების მოტივაციაზე. დაქირავებული შრომიდან შემოსავლის მიმღები შინამეურნეობების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, რამდენიმე საინტერესო ტენდენციას დავაკვირდეთ. ყველაზე მაღალი წილი იმ შინამეურნეობებში, რომლებიც ფულად გზავნილებს არ იღებდნენ, მაგრამ დაქირავებული შრომიდან ჰქონდათ შემოსავალი 2018 წელს დაფიქსირდა (55%), ხოლო ყველაზე დაბალი - 2019 წელს (50%). რაც შეეხება ფულადი გზავნილების მიმღებ შინამეურნეობების იგივე მაჩვენებელს, ყველაზე მაღალი წილი 2015 წელს დაფიქსირდა (45%), ყველაზე დაბალი - 2014 წელს (34%).

2012-2021 წლებში, ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების წილი, რომლებიც დაქირავებული შრომიდან იღებდა შემოსავალს, გაცილებით ნაკლები იყო გზავნილების არ მიმღებ შინამეურნეობებთან შედარებით. გაანალიზებულ პერიოდში საშუალოდ, იმ შინამეურნეობების წილი, რომლებიც გზავნილებს არ იღებდა და შემოსავალი ჰქონდათ დაქირავებული შრომიდან, 14 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების იგივე მაჩვენებელს.



წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ ათწლეულში საქართველოდან ემიგრაციული ნაკადები შესამჩნევი იყო, ხოლო ეკონომიკური დამოკიდებულება ფულად გზავნილებზე - მაღალი. 2017 წელს ევროკავშირთან გაფორმებულმა ვიზალიბერალიზაციის ხელშეკრულებამ საქართველოდან ემიგრაციის მახასიათებლებზე გარკვეული ეფექტი იქონია. კერძოდ, ქვეყნიდან ემიგრაციული ნაკადი გაიზარდა, ამავდროულად, ევროკავშირის ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების მოცულობის ზრდაც შესამჩნევი იყო. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში საქართველოში ევროკავშირიდან მიღებული ფულადი გზავნილების მოცულობამ გადააჭარბა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მიღებულ ფულადი გზავნილების მოცულობას. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ვიზალიბერალიზაციის შეთანხმება საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირში ლეგალურად მუშაობის უფლებას არ აძლევს და კვლავ შეიმჩნევა საქართველოდან არალეგალური შრომითი მიგრაციის ტენდენცია.

ბოლო ათწლეულში ფულადი გზავნილები საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინების ღირებული წყარო იყო და ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. ფულადი გზავნილების მიმღებ შინამეურნეობებს უფრო დიდი შემოსავალი აქვთ, ვიდრე ფულადი გზავნილების არ მიმღებ შინამეურნოებებს. თუმცა, შესამჩნევია ის ფაქტიც, რომ ფულად გზავნილებს შესაძლოა ნეგატიური გავლენა ჰქონდეთ ემიგრანტების ოჯახის წევრების სამსახურის ძიების მოტივაციაზე. მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების წილი, რომლებიც ასევე დაქირავებული შრომიდან იღებენ შემოსავალს, გაცილებით ნაკლებია იმ შინამეურნეობების წილზე, რომლებიც დაქირავებული შრომიდან აქვთ შემოსავალს და არ იღებენ ფულად გზავნილებს.

1. https://www.oecd-ilibrary.org/docserver/9789264272217-en.pdf?expires=1660737726&id=id&accname=guest&checksum=89C54827C1CEAC299A8A9E2075F87FD0.
2. https://migration.commission.ge/files/ms_2021-2030_eng_08.02.21.pdf.
3. https://migration.commission.ge/files/ms_2021-2030_eng_08.02.21.pdf.
4. მიგრაციული ხალდო განისაზღვრება, როგორც იმიგრანტების რაოდენობის და ემიგრანტების რაოდენობის სხვაობა, მოქალაქეებისა და არამოქალაქეების ჩათვლით. https://databank.worldbank.org/metadataglossary/population-estimates-and-projections/series/SM.POP.NETM.
5. https://www.migrationdataportal.org/themes/international-migrant-stocks.
6. პოსტსაბჭოთა ქვეყნების სტატისტიკაში არ არის გათვალისწინებული ლატვიის, ლიეტუვასა და ესტონეთის მონაცემები.
7. https://data.worldbank.org/indicator/BX.TRF.PWKR.DT.GD.ZS.
8. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც გაიზარდა ფულადი გზავნილები პანდემიის დროს, არის ფულადი გზავნილების გაციფრულება. COVID-19 კრიზისამდე შემოდინების მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკური სახით იყო მოცემული და არ აისახებოდა სტატისტიკაში. თუმცა მოგზაურობის შეზღუდვის გამო ემიგრანტები ციფრულ არხებზე გადავიდნენ.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2019	2020	2021	2022 I კვ.	2022 II კვ.
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	17 470.7*	15 888.1*	18 700.1*	4 610.4*	-
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 696.2*	4 274.6*	5 015.3*	1 249.9*	-
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	5.0%	-6.2%*	10.4*	14.9*	-
ინფლაცია	4.9%	5.2%	11.8%	13.2%	13%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 335.8*	572.0*	1 152.8*	568.2*	351.8*
უმუშევრობის დონე (%)	17.6%	18.5%	20.6%	19.4%	18.1%
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5 741	7 535	7 956	7 751	-
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	20.1%	19.7%	18.9	-	-

*წინასწარი მონაცემები

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

სოფო ბასილიძე
მკვლევარი
s.basilidze@pmcginternational.com

ნიკოლოზ ბაქრაძე
უმცროსი მკვლევარი
n.bakradze@pmcginternational.com

შოთა მაჭარაშვილი
სტაჟიორი
sh.matcharashvili@pmcginternational.com